საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია

ქ. თბილისი ვასო გოძიაშვილის ქ. N49 ტელ. 253 09 68

N 07/511
24/05/2019

511-07-2-201905241323

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“ ქ.თბილისში, ვაშლიჯვარში, გოძიაშვილის ქ. N49-ში ფლობს ბიოთერმულ, ბეკარის ორმოს, რომელიც ფუნქციონირებს 2008 წლიდან და არ აქვს გარმოზე ზემოქმედბის ნებართვა. „გარემოსდაცვთი შეფასების კოდექსის” 47-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, საქმიანობები, რომელთა განხორციელებაც დაწყებულია 2015 წლის 1 ივნისამდე და რომლებსაც არ აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, საჭიროებს ამ მუხლით დადგენილი პროცედურებისა და საქართველოს გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 11 ოქტომბრის № №2-827 ბრძანებით დამტკიცებული "ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შედგენისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესები"-ს შესაბამისად სამინისტროს მიერ საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. ყოველივე ამის გათვალისწინებით წარმოგიდგენთ შესაბამის დოკუმენტაციას დანართების სახით და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართები: 3 (სამი) დოკუმენტი

პატივიცემით,

ანა გულბანი

დირექტორი - მ.შ.